# ლაბირინთში მორბენალი

ჯეიმზ დაშნერი

2014-12-23




**ჯეიმზ დაშნერი**

ინგლისურიდან თარგმნა ნინო შეყილაძემ

რედაქტორი ლევან ინასარიძე

კორექტორები: ცისანა ბურჯანაძე, ნატალია ჩიმაკაძე
დიზაინერი ლაშა გიორგაძე
ტექნიკური რედაქტორი ნატალია ახვლედიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა დათო მოსიაშვილი

Originally published as The Maze Runner by James Dashner
Text copyright ©2009 by James Dashner
Cover art copyright © by Philip Straub
All rights reserved.

**© გამომცემლობა პალიტრა L, 2014**
ყველა უფლება დაცულია
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49

## ჯეიმზ დაშნერის „ლაბირინთში მორბენლის“ სერიის მსოფლიო გამოხმაურება

New York Times-ის ბესტსელერი
USA Today-ის ბესტსელერი
Book Sense-ის ბესტსელერი
Kirkus Reviews-ის მიხედვით, მოზარდთათვის წლის საუკეთესო წიგნი
ALA-YALSA-ის მიხედვით, მოზარდთათვის ფანტასტიკის ჟანრში ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი

გაყიდულია 5 მილიონზე მეტი ეგზემპლარი!
თარგმნილია 40 ენაზე!

## Liberteens

Liberteens თინეიჯერების ჯგუფია, რომელიც კითხულობს და არჩევს მათ თაობაში თანამედროვე, პოპულარულ უცხოურ ლიტერატურას, რომელსაც შემდგომ გამომცემლობა პალიტრა L ქართულ ენაზე გამოსცემს.

ჯეიმზ დაშნერის «ლაბირინთში მორბენალი» სწორედ მათი არჩეული წიგნია.

რას ფიქრობს Liberteens ამ წიგნზე?

საინტერესო, მოულოდნელობებით სავსე, საშიში, დაძაბული, ჩამთრევი, იუმორი გემოვნებით, ერთი ამოსუნთქვით წაიკითხავ, ოღონდ ბოლოს ჩასუნთქვა არ დაგავიწყდეს, გაგრძელება გელოდება. აუცილებლად გაგიჩნდება კითხვა: ნეტა, მე როგორ მოვიქცეოდი ლაბირინთის ჩაკეტილ სივრცეში?

ბაია, 17 წლის

სიმართლე რომ ვთქვა, ყოველთვის სიფრთხილით ვეკიდები წიგნებს, რომლებსაც გამომცემლები ხმაურიან სახელს - «ბესტსელერებს» უწოდებენ. არც მეგონა, რომ ამ წიგნში ახალი დამხვდებოდა რამე, რადგან თემა უკვე მოძველებული და გაცვეთილი მეჩვენებოდა, მაგრამ მაინც სკეპტიკურად განწყობილმა გადავფურცლე. გადავფურცლე

და სანამ ბოლომდე არ ჩავედი, ხელი აღარც გამიშვია. სიუჟეტი ისეთივე ჩამთრევია, როგორიც თვით ლაბირინთი. ცდილობ, შეეშვა, მაგრამ არ გამოგდის, ვერ პოულობ გზას გასაქცევად და ამავდროულად სხვა გამოსავალი არ გაქვს, უნდა გააგრძელო.

გოგა, 14 წლის

ჰმმ... რა მომეწონა კითხვის დროს? ის, რომ სიუჟეტი სულ ვითარდება და უაზროდ არ არის გაწელილი, ასევე ძალიან დამაინტრიგებლად მიმდინარეობს ყველაფერი და მკითხველს მოწყენის საშუალებას არ აძლევს. ერთხელ რომ გადაშლი, მისი დახურვა და გვერდზე გადადება შეუძლებელი ხდება.

ნანუკა, 15 წლის

«ლაბირინთში მორბენალი» არის წიგნი, რომელიც თავისი მოულოდნელობებით სავსე სიუჟეტით ნებისმიერ თინეიჯერს მოხიბლავს. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა და მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ფანტასტიკას დიდად არ ვწყალობ, მაინც მოუთმენლად ვფურცლავდი წიგნს, რათა გამეგო, რა საიდუმლოსა და სიურპრიზს ამხელდა ჯეიმზ დაშნერი მომდევნო გვერდზე. თუმცა «ლაბირინთში მორბენალმა» არა მარტო სიუჟეტით, არამედ ძალიან ორიგინალური და საინტერესო პერსონაჟებითაც მომხიბლა.

თაია, 18 წლის

## მოკლე ინფორმაცია ავტორზე

New York Times-ის ბესტსელერის — «ლაბირინთში მორბენლის» სერიის ავტორი, ჯეიმზ დაშნერი, დაიბადა და გაიზარდა შტატ ჯორჯიაში, თუმცა ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს კლდოვან მთებში. მწერალსა და მის შემოქმედებაზე უფრო მეტის გაგება შეგიძლიათ პალიტრა L-ის ვებგვერდზე: palitral.ge/teens და ასევე მწერლის პირად გვერდზე: jamesdashner.com ან Twitter-ზე.

## * * *

ვუძღვნი ლინეტს

*ეს წიგნი იყო სამწლიანი მოგზაურობა და შენ ეჭვი ერთხელაც არ შეგპარვია.*

## თავი 1

ახალი ცხოვრება მან წყვდიადში, სიცივესა და სპორებით გაჯერებულ მტვრიან ჰაერში ფეხზე წამოდგომით დაიწყო.

გაისმა ლითონის ღრჭიალი; მის ფეხქვეშ იატაკი იძრა, უეცრად ზურგზე დაეცა, თუმცა ხელ-ფეხი მოიშველია და გვერდზე გადაკოტრიალდა. ცივი ჰაერის მიუხედავად, შუბლი ოფლით დაეცვარა. ზურგით ლითონის კედელს დაეჯახა; ჩასრიალდა და პატარა

ოთახის ერთ-ერთ კუთხეში ძირს დაჯდა. ფეხები მოკეცა და მკერდზე მიიბჯინა. იმედოვნებდა, რომ უკუნეთ სიბნელეს შეეჩვეოდა.

მორიგი ბიძგი. ძველისძველ მაღაროში გისოსებიანი ლიფტის კაბინამ მაღლა აიწია.

თითქოს ძველ ფოლადის გადამამუშავებელ ქარხანაში ჩარხები ამუშავდაო, ჯაჭვებისა და ბორბლების ყრუ ხმაურს კაბინის კედლებმა ექოთი უპასუხა. მაღლა ასვლისას მძიმე კაბინა აქეთ-იქით ირხეოდა, რის გამოც ბიჭს, ლამის, გული აერია, დამწვარი ზეთის მყრალმა სუნმა მისი მდგომარეობა უფრო მეტად დაამძიმა. ტირილი მოუნდა, თუმცა თვალიდან ერთი ცრემლიც კი არ გადმოვარდნია; სიმარტოვეში ჯდომისა და ლოდინის გარდა, არაფერი დარჩენოდა.

«მე თომასი მქვია.» — გაიფიქრა.

ეს ერთადერთი რამ იყო, რაც მას თავისი ცხოვრებიდან ახსოვდა. ეს კი დაუჯერებელი იყო. გონება შესანიშნავად უმუშავებდა. ბიჭი ცდილობდა, გაეგო, თუ სად მოხვდა და რამდენად რთული იყო მისი მდგომარეობა. იმის შესახებ, თუ როგორ იყო მოწყობილი ეს სამყარო, თომასს გონებაში არაერთი მოსაზრება, ფაქტი, ხატება, მოგონება თუ სხვა წვრილმანი ამოუტივტივდა. წარმოიდგინა დათოვლილი ხეები, მთვარის მკრთალი შუქით განათებული მწვანედ აჯეჯილებული მდელოები, ხალხით გადავსებული ქალაქის მთავარი მოედანი, იქ ყველა თავის გზაზე მიიჩქაროდა, ტბაში ბანაობა, ფოთლებით დაფარულ გზაზე სირბილი და ჰამბურგერის გემო.

და მაინც, მან არ იცოდა, ვინ იყო, ან აქ, ამ ბნელ ლიფტში როგორ მოხვდა. ბიჭს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყვნენ მისი მშობლები. საკუთარი გვარიც კი არ იცოდა. მოულოდნელად მის გონებაში ვიღაცების სახეებმა გაიელვა, თუმცა ვერც ერთი მათგანი ვერ იცნო. სახეები ნელ-ნელა გაქრა და ფერად ლაქებად იქცა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს, მას ცხოვრებაში ერთი ნაცნობიც კი არ ჰყოლია, ხოლო ვინმესთან საუბრის გახსენებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

კაბინა მაღლა სვლას რხევით განაგრძობდა. თომასს ჯაჭვების ღრჭიალი უკვე აღარ აღიზიანებდა. დრო ნელა გადიოდა. წუთები საათებად იწელებოდა, თუმცა, აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, ყოველი წამი საუკუნედ ეჩვენებოდა. არა, ის ხომ ვიღაც სულელი არ იყო — საკუთარ ინსტინქტებზე დაყრდნობით, თავისუფლად შეეძლო ეთქვა, რომ კაბინა მაღლა დაახლოებით ნახევარი საათი ადიოდა.

თომასმა თავი უცნაურად იგრძნო — შიში, თითქოს, სადღაც გამქრალიყო, აი, ზუსტად ისე, ქარის ამოვარდნისას კოღოთა გუნდი რომ უჩინარდება ხოლმე, ხოლო მისი ადგილი ცნობისმოყვარეობას დაეკავებინა. უნდოდა გაეგო, თუ სად იყო და რა ხდებოდა.

მოულოდნელად კაბინა ხმაურიანად გაჩერდა; ლიფტის უეცარმა გაჩერებამ თომასი ინერციით წინ გადააგდო. ფეხზე წამომდგარმა იგრძნო, რომ ლიფტი მაღლა ნელ-ნელა ადიოდა, ბოლოს კი საერთოდ გაჩერდა. ირგვლივ ყველაფერი დადუმდა.

გავიდა წუთი... ორი... ბიჭმა ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ წყვდიადში ვერაფერი გაარჩია; კედლები ხელით მოსინჯა და გასასვლელს დაუწყო ძებნა, თუმცა, ამაოდ — მის ირგვლივ, ცივი ლითონის გარდა, არაფერი იყო. იმედგაცრუებულმა თომასმა ამოიკვნესა; მომაკვდავის კვნესასავით გაისმა კაბინაში მისი ექო. კვლავ მდუმარებამ დაისადგურა. ბიჭმა ყვირილი მორთო, შველას ითხოვდა, ბოლოს ლითონის კედლებს მუშტებიც კი დაუშინა, თუმცა უშედეგოდ.